საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო საჯარო სამართლის იურიდიული პირი სოციალური მომსახურების სააგენტო

MINISTRY OF LABOUR, HEALTH AND SOCIAL AFFAIRS OF GEORGIA

Legal Entity of Public Law

SOCIAL SERVICE AGENCY

ს/კ 202178927

KA030489269975617

საქართველო, თბილისი 0119; აკ.წერეთლის გამზ. 144; ტელ.: (+995 32) 510 047; 510 048; 510 049

144 Ak.Tsereteli ave., 0159, Tbilisi, Georgia; Tel.: (+995 32) 510 047; 510 048; 510 049

№ 04/6130

01 / თებერვალი / 2017 წ.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტის უფროსს, ქალბატონ მარინა დარახველიძეს

ქალბატონო მარინა,

მოგეხსენებათ, საქართველოს მთავრობის 2016 წლის 30 დეკემბრის N638 დადგენილებით (შემდგომში - „დადგენილება“) დამტკიცდა 2017 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამები. აღნიშნულთან დაკავშირებით, გთხოვთ თქვენს გადაწყვეტილებებს/მითითებებს ქვემოთ ჩამოთვლილ საკითხებთან დაკავშირებით:

1. „დადგენილების“ დანართი N10. სახელმწიფო პროგრამა - ნარკომანიით დაავადებულ პაციენტთა მკურნალობა. ***ჩანაცვლებითი თერაპიის განხორციელება და ჩამანაცვლებელი ფარმაცევტული პროდუქტის მიწოდების (ტრანსპორტირება, ბადრაგირება) უზრუნველყოფის კომპონენტი*** (შემდგომში - „კომპონენტი“).

ა) კომპონენტის ფარგლებში 2016 წელს ჩატარებული ელექტრონული ტენდერის დოკუმენტაცია შეიცავდა შემდეგ დათქმას:

„8.3. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მომსახურება გაუწიოს ყველა პაციენტს (თვეში 1 600 პაციენტზე მეტის მიმართვის შემთხვევაშიც) და არ მოითხოვოს დამატებითი ანაზღაურება წარმოდგენილი სატენდერო წინადადების (ჯამური) ფასის ზემოთ.

8.4. მიმწოდებელი იღებს ყველა პაციენტის (თვეში 1 600 მეტი პაციენტის მიმართვის შემთხვევაშიც) სრულყოფილად მომსახურების ვალდებულებას, ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში ერთი და იგივე პაციენტის რამდენჯერმე მიმართვის შემთხვევაშიც.“

გამომდინარე იქიდან, რომ 2017 წლის 1 ივლისიდან კომპონენტით გათვალისწინებულ მომსახურებას ემატება ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის უზრუნველყოფა, გთხოვთ, მიგვითითოთ, დავტოვოთ თუ არა ხსენებული ფორმულირება უცვლელი.

ბ) წინამდებარე წერილზე თანდართულია კომპონენტის ფარგლებში 2017 წელს გამოსაცხადებელი ელექტრონული ტენდერის დოკუმენტაცია, რომლის N2 დანართით ცალ-ცალკე არის მოთხოვნილი გასაწევი მომსახურების განფასების წარმოდგენა - 2017 წლის 16 მარტიდან 2017 წლის 30 ივნისის ჩათვლით და 2017 წლის 1 ივლისიდან 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდზე. გთხოვთ, თქვენს მოსაზრებას აღნიშულთან დაკავშირებით.

გ) კომპონენტის ფარგლებში 2017 წელს გამოსაცხადებელი ელექტრონული ტენდერის სავარაუდო ღირებულება განისაზღვრა 3 528 897 ლარის (მათ შორის, 2017 წლის დეკემბერი - 370 833.33 ლარის) ოდენობით. აღნიშნული განპირობებულია შემდეგი გარემოებებით:

გ.ა) „დადგენილების" მე-4 მუხლის „ბ" პუნქტის „ბ.ა" ქვეპუნქტის თანახმად, სააგენტოს დაევალა 2017 წლის პირველი იანვრიდან, 2016 წელს დადებული ხელშეკრულებების გათვალისწინებით, განახორციელონ ხელშეკრულების გაფორმება/გაგრძელება იმავე მიმწოდებლებთან, რა დროსაც მათი ღირებულების ყოველთვიური მოცულობის განსაზღვრა ხდება 2016 წლის ხელშეკრულებით დადგენილი თვის ლიმიტის ოდენობით *(დეკემბრის ლიმიტის არსებობისას – დეკემბრის ლიმიტის ოდენობით).*

გ.ბ) ნარკომანიით დაავადებულ პაციენტთა მკურნალობის სახელმწიფო პროგრამის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, „კომპონენტის" ფარგლებში გაწეული მომსახურების დაფინანსება ხორციელდება გლობალური ბიუჯეტის პრინციპით ყოველთვიურად, წლიური ასანაზღაურებელი თანხის არაუმეტეს 1/12-ისა.

გამომდინარე იქიდან, რომ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსა და შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრს" შორის 2016 წლის 15 მარტის გაფორმებული N35030210/16-6 ხელშეკრულებით, დეკემბრის თვის ლიმიტი განსაზღვრული იყო 231 066.67 ლარით, 2017 წელს სათანადო კონტრაქტი დაიდო 2,5 თვეზე (2017 წლის 15 მარტის ჩათვლით), ამავე ფინანსური პარამეტრის გათვალისწინებით. ამასთანავე, „კომპონენტის" დამტკიცებული ბიუჯეტი 2017 წელს შეადგენს 4 450 000 ლარს, ხოლო 1/12 – 370 833.33. შესაბამისად, გამოსაცხადებელი ელექტრონული ტენდერის სავარაუდო ღირებულება განისაზღვრა ამ უკანასკნელი თანხის ნამრავლით 9,5 თვეზე (ხელშეკრულების დადება ნავარაუდევია 2017 წლის 16 მარტიდან). აღნიშნულ ინფორმაციას წარმოგიდგენთ ცნობის სახით.

3. „დადგენილების" დანართი N10. სახელმწიფო პროგრამა - ნარკომანიით დაავადებულ პაციენტთა მკურნალობა. *ალკოჰოლის მიღებით გამოწვეული ფსიქიკური და ქცევითი აშლილობების სტაციონარულ მომსახურების კომპონენტი.*

აღნიშნული კომპონენტით განისაზღვრა, რომ სათანადო მომსახურება უნდა განხორციელდეს გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის გათვალისწინებით. ამდენად, ნავარაუდევია 2 ელექტრონული ტენდერის გამოცხადება - აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში შესაბამისი მომსახურების შესყიდვის მიზნით. აღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ, მიგვითითოთ:

ა) როგორც გადავანაწილოთ კომპონენტში არსებული ფინანსური რესურსი 2 ელექტრონული ტენდერის სავარაუდო ღირებულების განსაზღვრისას;

ბ) მინიმუმ რამდენ პაციენტს უნდა მოემსახუროს ყოველთვიურად თითოეულ ტენდერში გამარჯვებული ორგანიზაცია.

4. „დადგენილების" დანართი N14. *სახელმწიფო პროგრამა - ბავშვთა ონკოჰემატოლოგიური მომსახურება.* დანართის მე-5 მუხლით განსაზღვრულია, რომ სათანადო მომსახურების შესყიდვა ხორციელდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად. მოგეხსენებათ, წინა წლებში, პროგრამით გათვალისწინებული მომსახურების შესასყიდად ელექტრონული ტენდერის გამოცხადება არ ხდებოდა და, შესაბამისად, სატენდერო პირობების განსაზღვრის გამოცდილება სააგენტოს არ გააჩნია. აღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ, თქვენს მოსაზრებებს შემდეგი საკითხების თაობაზე:

ა) პროგრამით განსაზღვრული არ არის სამედიცინო დახმარების ჩამონათვალი, რაც უნდა განხორციელდეს ტენდერში გამარჯვებული ორგანიზაციის მიერ. ამდენად, ხომ არ იქნება მიზანშეწონილი აღნიშნული სამედიცინო დახმარების კონკრეტიზაცია/მოცულობის განსაზღვრა? კითხვაზე დადებითი პასუხის შემთხვევაში, გთხოვთ, მოგვცეთ უშუალო მითითებები;

ბ) აუცილებელია თუ არა, დადგენილი იქნეს მოთხოვნები ტენდერში მონაწილე პრეტენდენტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მიმართ;

გ) აუცილებელია თუ არა, დადგენილი იქნეს მოთხოვნები ტენდერში მონაწილე პრეტენდენტის პრეტენდენტის სამედიცინო პერსონალის მიმართ.

3. წარმოგიდგენთ ჯანმრთელობის დაცვის 2017 წლის სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში გამოსაცხადებელი ელექტრონული ტენდერების დოკუმენტაციას და გთხოვთ, შენიშვნებსა და წინადადებებს აღნიშნულთან დაკავშირებით. ამასთანავე გაცნობებთ, რომ სატენდერო დოკუმენტაციებში, 2016 წელს გამოცხადებული ელექტრონული ტენდერებისგან განსხვავებით დამატებული ან/და სახეშეცვლილი პუნქტები/ქვეპუნტები, აგრეთვე ის პუნქტები/ქვეპუნტები, რომლებთან მიმართებითაც წინამდებარე წერილში დასმულია შეკითხვები, გამოყოფილია განსხვავებული ფერით.

სათანადო ინფორმაციის მიღებისთანავე, სააგენტო დაიწყებს შესაბამისი ღონისძიებების განხორციელებას.

დანართი: 11 (თერთმეტი) ელექტრონული ტენდერის დოკუმენტაცია.

პატივისცემით,

დირექტორის მოადგილე თამაზ მოდებაძე